ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1112241

ნომერი: AR1195101

თარიღი : 05.02.2014

გაცემის თარიღი : 21.02.2014

გაცნობის თარიღი : 17.06.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 81 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ჯულუხაძე პ/ნ 01012017852
- თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორ. 1 ბ. 106

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2014 წლის 05 თებერვალის A AR1195101 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, გორგასლის ქ.#81-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი #01.18.09.003.002) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე სამსახურის მიერ 2013 წლის 30 აგვისტოს მიღებული იქნა #874620 გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა თქვენი 2013 წლის 27 აგვისტოს AR1157870 განცხადება და უარი გეთქვათ ქ.თბილისში, გორგასლის ქ.#81-ში არსებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით სადავოდ არის გამხდარი და ამჟამად საქმეს იხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლო. ვინაიდან, მითითებულ საკითხზე საქმის წარმოება მიმდინარეობს სასამართლოში და მიღებული არ არის საბოლოო გადაწყვეტილება, საქმის განხილვის საბოლოო დასრულებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მიიღოს რაიმე სახის გადაწყვებილება. ქთბილისის მერიის სსიპ – ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახური იმოქმედებს სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge